იაპონიის მთავრობის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში დაფინანსებული თბილისში ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის რეაბილიტაციის პროექტის გახსნის ცერემონია

2017 წლის 30 მაისს, თბილისში გაიმართა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის რეაბილიტაციის პროექტის გახსნის ცერემონია. ცერემონიას დაესწრნენ ქალბატონი მაკა ჩიჩუა, საქართველოს პრეზიდენტის მეუღლე და ქალბატონი აგატა კორნჰაუზერ-დუდა, პოლონეთის პრეზიდენტის მეუღლე. 15 ივნისს ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრში გაიმართა მისი გახსნის აღმნიშვნელი მეორე ცერემონია. მას დაესწრნებ იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბატონი მარიუშ მაშკიევიჩი, ესტონეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ქალბატონი კაი კაარელსონი.
პროექტი განხორციელდა ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის მიერ. ამ პროექტისთვის იაპონური გრანტის ოდენობა 82 526 ა.შ.შ. დოლარს შეადგენს. შენობა ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა ახალი თავშესაფრისთვის ძალადობისგან დაცვის ეროვნულ ქსელს საქართველოს მთავრობამ გადასცა. შენობის რეაბილიტაცია და აღჭურვა პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს, იაპონიის საელჩოს, ქალთა საერტაშორისო ასოციაციის, სიგრიდ რაუსინგ ტრასტის და ესტონეთის საელჩოს ერთობლივი ძალისხმევის შედეგია.

რეაბილიტაციამდე და რეაბილიტაციის შემდეგ